ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2017 წლის 07 სექტემბრის N10/9675 წერილის თანახმად გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშს.

დანართი: „6“ ფურცელი.

პატივისცემით,
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 7 ფურცელი

№ 10/9675 11 ოქტომბერი 17

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ნუგზარ მალაღურაძის

2017 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგმლამენტი"- ს მე-12-ე, მე–13-ე მუხლების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 13 და საკრებულოს 13 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა საკრებულოს 89 დადგენილება და 427 განკარგულება. ვმონაწილეობდი, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 10 სხდომაში, სადაც განხილულ და შესწავლი იქნა 498 საკითხი. ჩავატარე სარევიზიო კომისიის 13 სხდომა, სადაც კომისიის წევრებთან ერთად განვიხილეთ 67 საკითხი.

ვმონაწილეობდი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" მიერ გამართულ 14 სხდომაში, სადაც შევისწავლეთ და განვიხილეთ 15 საკითხი.

გახლავართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრი. საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საბჭოს 27 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 1336 საკითხი.

ვმონაწილეობ, სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-ში შექმნილ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ კომისიაში. კომისიის მიერ ჩატარდა 4 სხდომა, სადაც განხილული იქნა 52 საკითხი.

თბილისის მერიაში 2016 წლის 6 აპრილიდან შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია, სადაც ვმონაწილეობ, როგორც კომისიის წევრი. კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კომისიის შვიდი სხდომა, სადაც განხილული 43 სამშენებლო ობიექტიდან დადებითი რეკომენდაცია გაეწია 33-ს.

მოქალაქეთა მიღებაზე და ასევე სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მივიღე და მოვუსმინე 97 მოქალაქეს, რომელთაც სამსახურეობრივი კომპეტენციის ფარგლებში გაუწიე სხვადასხვა სახის დახმარებები.

ასევე, კომისიასთან ერთად რეაგირეაგირება მოვახდინე კომისიაში შემოსულ 50 განცხადებაზე (განცხადება, საჩივარი, წინადადება).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისია აკონტროლებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობას, ხარჯების კანონიერებასა და თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან შესაბამისობას. როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, უფლებამოსილების ფარგლებში სარევიზიო კომისიასთან ერთად, კომისიის სამუშაო გეგმის თანახმად, 2017 წლის მიმდინარე პერიოდამდე სარევიზიო შემოწმება ჩავატარეთ 27 ორგანიზაციაში, ხოლო 4 ორგანიზაცია შემოწმების პროცესშია.

ინფორმაცია
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის ნუგზარ მალაღურაძის, 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 01 ოქტომბრამდე საქმიანობის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგმლამენტი“- ს თანახმად, 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა განვახორციელე სხვადასხვა სახის საქმიანობა. კერძოდ:

1. საკრებულოს სხდომები - 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში ვმონაწილეობდი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს 103 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა 419 დადგენილება და 1570 განკარგულება.

2. 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 01 ოქტომბრამდე ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა სარევიზიო კომისიის 48 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 181 საკითხი.

3. 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმებული იქნა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი 125 ორგანიზაცია.

4. 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში მონაწილეობა მივიღე ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 90 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 2032 საკითხი.

5. 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში, მონაწილეობა მივიღე ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციის 46 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 76 საკითხი.

6. 2014-2016 წლებში ვიყავი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრი.

7. 2014-2015 წლებში ვიყავი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მოხელეთა კონკურსის ეფექტურად და გონივრულ ვადებში ჩატარების მიზნით შექმნილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზირებული შემადგენლობის თავმჯდომარე.

8. 2015 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზირებული შემადგენლობის წევრი.

9. 2015 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

10. 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის მაისამდე ვიყავი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" წევრი, სადაც მონაწილეობა მივიღე საბჭოს 34 სხდომაში და განვხილეთ 2380 საკითხი.

11. 2015 წლის 1 მაისიდან დღემდე ვარ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრი. აღნიშნული პერიოდიდან მონაწილეობა მივიღე საბჭოს 93 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 4759 საკითხი.

12. 2014 წლიდან-დღემდე ვარ, სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრი. ვმონაწილეობდი კომისიის 10 სხდომაში და განვხილეთ 105 საკითხი.

13. 2016 წლის 6 აპრილიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრი. კომისიის მიერ ჩატარდა 7 სხდომა, სადაც განხილულია 43 საკითხი.

14. 2015 წელს ვიყავი, თბილისში ახალი ავტობუსების შესაძენად გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერის ჩატარების მიზნით, შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრი.

15. 2014-2016 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, ანტიკორუფციული საბჭოში.

16. 2014-2017 წლის 01 ოქტომბრამდე მოქალაქეთა მიღებაზე, მივიღე და შესაბამისი კონსულტაცია (დახმარება) გაუწიე 800 - მდე მოქალაქეს.

17. საანგარიშო პერიოდში, სარევიზიო კომისიაში შემოსულ 210 განცხადება-კორესპოდენციაზე მოვახდინე შესაბამისი რეაგირება.

ჩემს მიერ წარდგენილია ინიციირებების შემდეგი პროექტები:

1. 2015 წლის 16 თებერვალს და 2016 წლის 11 მარტს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. 2015 წლის 8 მაისს - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამცკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.
3. ასევე ჩემი ინიციატივით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის შესახებ პროგრამის თანახმად ააიპ „ლაბორატორია“-ს, მთავრობის დადგენილებით დაევალა ბმა-ს დაფინანსების ფარგლებში, საწყის ეტაპზე წარმოდგენილი დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების შემოწმება და ექსპერტიზა, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მუდმივი ზედამხედველობის განხორციელება, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ წარმოდგენილი ფორმა №2-ების ექსპერტიზით დამტკიცება და წარმოდგენილი ფასების საბაზრო ფასებთან შედარება. აღნიშნული წესით ასევე განისაზღვრა, პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ სამუშაოთა პრიორიტეტები, ხოლო ინიციატივის საფუძველზე 2015 წლიდან, ყოველწლიურად აღიკვეთა 10 მილიონი ლარის არამიზნობრივი ხარჯი, რის ხარჯზეც შესაძლებელი გახდა დაფინანსებულიყო სხვა პროექტები და შესრულებულიყო დამატებითი სამუშაოები.

18. 2014-2017 წწ. კომისიაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შემდგომი რეაგირებისა და დამატებით გამოკვლევის მიზნით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადაიგზავნა 13 შემოწმება-ანალიზის დასკვნა; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ანტიკორუფციულ სააგენტოში გადაგზავნილ იქნა 13 შემოწმება-ანალიზის დასკვნა; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში გადაგზავნილ იქნა 2 შემოწმება-ანალიზის დასკვნა.

ასევე, ყველა შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები, გადაიგზავნა დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

გადაგზავნილ დასკვნებზე, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა დამატებით ჩაატარა მოკვლევები, რის შედეგადაც 14 დარღვევა რომელიც, მოიცავდა სისხლის სამმართლის დანაშაულის ნიშნებს, რეაგირებისთვის გადაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

19. სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე შემუშავებული იქნა სარეკომენდაციო წერილი, რომელიც გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მერს, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს, მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონულ გამგეობებს.

პატივისცემით,
საკრებულოს წევრი ნუგზარ მალაღურაძე